საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაზეთი

29 ივნისი, 2000 წელი.

№6 (28)

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველთვიური დამატება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქველმოქმედება

# მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა...



ბოლო წლებია, რაც დედაქალაქის ქუჩებში შუქნიშანზე მანქანის გაჩერება ძლიერ სულიერ განცდასა და ტკივილთან არის დაკავშირებული. სამათხოვროდ ხელგაწვდილი ბავშვები, და არა მარტო ბავშვები, 30 წამის განმავლობაში ცდილობენ საკუთარი ჭირ-ვარამის გამზიარებლები ხალხში ეძებონ და მათგან ლუკმა-პურისთვის რამდენიმე თეთრი მიიღონ. სამწუხაროდ, ამ ბავშვების მომავალზე, მათ პიროვნებად, ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბებაზე დღეს ცოტა ვინმე თუ ფიქრობს. თუმცა ცოტაც თუ ფიქრობს, ესეც საქმეა. ეს ფიქრი კი, ოთხიოდე წლის წინათ ფერისცვალების მონასტრის მონაზვნებმა დაიწყეს. თითო-ოროლა ბავშვის სიკეთისკენ მობრუნების ცდამ, სასოწარკვეთილ, წარწყმედის გზაზე დამდგარ ბავშვებს იმედი დაუბრუნა. ამბავი უცბად გავრცელდა და მონასტრისკენ ღვთის წყალობის მისაღებად ბავშვებმა ჯგუფ-ჯგუფად იწყეს დენა. ისინი მონასტერმა ველარ დაიტია და მომავალი ბინა სოფელ ძეგვში დაიდეს.

დღეს ძეგვის ბავშვთა სახლში 150-მდე პატარა იზრდება. – „თავდაპირველად ცხოვრებისადმი უნდობლობით ისე იყვნენ „მოწამლულნი", რომ ჩვენც არ გვიტყუებოდნენ და ვინაობას გვიმალავდნენ. ახლომდებარე სავაჭრო ჯიხურები მათთვის ისეთივე მაცდუნებელი იყო, როგორც მეზობლის ბაღში ხილით დახუნძლული ხეები სოფლელი ბავშვებისთვის. მათთან აღმზრდელობითი მუშაობა გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე გვეგონა. რთული, მაგრამ არა დაუძლეველი". – ამბობს დედა ემილი.

მაგრამ როგორც რკინა ცეცხლში დარბილდება, ასე მზრუნველი „დედების" სითბომ ბავშვების გაყინული გული გაათბო და სააქაოსკენ მოაბრუნა. დღეს ბავშვები წიგნს ეუფლებიან, მათ გაითავისეს, რომ სკოლა საძულველი სულაც არ არის (რასაც, სამწუხაროდ, უზრუნველი ოჯახების ბავშვებში ვერ ვხედავთ). მათი პედაგოგების აზრით, მხოლოდ გონებრივი შესაძლებლობების გაძლიერებით მიიღწევა სიყვარულისა და რწმენის გაძლიერება.

იხ. მე-6 გვ.

ინფორმაცია

# „პაპა კარლო" თბილისში



13 ივნისს თბილისელები უცნაური სანახაობის მოწმენი გახდნენ. ტექნიკური უნივერსიტეტის მეორე კორპუსთან გერმანელმა სტუმრებმა ორი ხის მორისგან თხუთმეტიოდე წუთში ორი ფიგურა გამოხერხეს. სიტყვა „გამოხერხვა" შემთხვევით არ გვიხსენებია.

თუ ელექტროხერხი აქამდე ხალხის ცნობიერებაში მხოლოდ ხის მოსაჭრელ იარაღად ასოცირდებოდა, გერმანელი ხელოვანის გუნტრამ პროხარსკას ხელში მან „ფუნჯის" როლი შეასრულა და ქალისა და მამაკაცის ფიგურები გამოძერწა. ავტორმა მათ „ევროპა და აზია" შეარქვა და ორი მძლავრი სამყაროს გაერთიანების თავისებურ სიმბოლოს თბილისში დაუდო ბინა.

გუნტრამ პროხრსკას შემოქმედებითი საქმიანობის შემდეგ; ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრმა სტუმრებს ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ულამაზესი სანახაობა გაუმართა.

ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრსა და გერმანიის ქალაქ კარლსრუეს ზანდკურნ თეატრს შორის პერსპექტიული შემოქმედებითი თანამშრომლობის გეგმები შემუშავდა. ორ თეატრს შორის კულტურულ თანამშრომლობას ხელი ახლო მომავალში გერმანიაში სათანადო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ მოეწერება.

სტუმრების დიდი ინტერესი ალეკო ცინცაძის პიესამ „კრიმანჭულმა" გამოიწვია. მათი თხოვნით იგი გერმანულ ენაზეც ითარგმნება, დადგმები კი ქართულ და გერმანულ ენაზე განხორციელდება.

**ნინო ჩიქობავა.**

თაობა



# ჭადრაკი — ხელოვნება, მეცნიერება და სპორტი

„ჭადრაკის თამაში მამამ ოთხი წლისას მასწავლა. სკოლამდე უსაქმოდ რომ არ ვყოფილიყავი, ჭადრაკის სკოლაში მიმიყვანა, სადაც 4-5 წლით უფროსებს ვეასპარეზებოდი, ხოლო 6 წლის ასაკში ქალაქ რუსთავის მოსწავლეთა ნაკრების წევრი ვიყავი".

ამ სიტყვებით იწყება ჩვენი ინტერვიუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტთან, ამჟამად საქართველოს ჩემპიონთან თამაზ გელაშვილთან. მას 22 წელი ახლახან შეუსრულდა.... ამბობენ, რომ საქართველოს ასეთი ახალგაზრდა ჩემპიონი უფროსებში ჯერ არ ჰყოლია.

**– როდის დაიწყო თქვენი საჭადრაკო კარიერა და ვის უმადლით თქვენს წარმატებას?**

– ჩემს წარმატებაში წვლილი თითოეულ მწვრთნელს მიუძღვის, ვისთანაც მივარჯიშია. პირველ რიგში მამაჩემს, ვიტალი გელაშვილს, რომელიც ჭადრაკის მოყვარულია. 5-10 წლამდე ლიანა და გიორგი ბიბილაშვილები მწვრთნიდნენ, შემდეგ ოთარ თაქთაქიშვილი, ბოლოს, გივი გოგიჩაიშვილი.

იხ. მე-6 გვ.

# სტუდენტური დღეები — 2000

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირი ახალგაზრდული სიმტკიცით აღსავსე ორგანიზაციაა და ყოველ სტუდენტურ წამოწყებას, მათ პროფესიულ და შემოქმედებით წინსვლას ულალატოდ უდგას მხარში. რა თქმა უნდა, რომ არა ხელმძღვანელობის მხარდაჭერა და მზრუნველობა, ქმედითად არ განხორციელდებოდა ის დიდი პროგრამა, რომელიც სტუ სტუდენურმა კავშირმა „სტუდენტური დღეები 2000"-ის დროს წარმოადგინა. ღონისძიებები კონფერენციებს, სპორტულ შეჯიბრებებს, გამოფენებს, კინოჩვენებას, მხატვრული თვითშემოქმედებითი კოლექტივების კონკურსსა და უამრავ სიახლეს მოიცავდა.**



# ოლიმპიადა

**ექვსი დღის განმავლობაში წარმატებით მიმდინარეობდა სტუდენტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები განათლების სამინისტრო და ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი იყვნენ. საქართველოს ყველა კუთხიდან, შიდა კონფერენციებში გამარჯვებულმა სტუდენტებმა თავი მოიყარეს საქართველოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში დასკვნით სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, მათ შორის, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტშიც. აქ 9 სამეცნიერო სექცია მუშაობდა. ორგანიზების მაღალი დონე, მაღალპროფესიული, ობიექტური ჟიური, ნებისმიერი სტუდენტისადმი სამართლიანი, თბილი დამოკიდებულება – ყოველივე ამან დასკვნითი ტურის მაღალ დონეზე ჩატარება განაპირობა.**

კონფერენციაში წარმატებას მიაღწიეს სტუ სტუდენტებმა და მაგისტრანტებმა. ორმოცამდე სტუდენტი გახდა პრეზიდენტის სხვადასხვა ხარისხის დიპლომისა და გრანტის ლაურეატი. გამარჯვებულ სტუდენტებს შეხვდა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი რამაზ ხუროძე, რომელმაც წარმატება მიულოცა თითოეულ გამარჯვებულ სტუდენტს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა კვლავაც მხარში ამოუდგება და სხვადასხვა სახის დახმარებას გაუწევს ნებისმიერ სწავლამოწყურებულ სტუდენტს.

სწორედ ასეთ კონფერენციებში ხდება სტუდენტთა სამეცნიერო პოტენციალის სრულყოფა-ჩამოყალიბება, დახვეწა. თითოეულ მათგანს მიეცა საშუალება სრულად გამოევლინა თავის შესაძლებლობები.

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს სახელმწიფო კანცელარიაში დასკვნით რესპუბლიკურ ტურში გამარჯვებულ სტუდენტთა დაჯილდოება გაიმართა. საზეიმო ცერემონიალს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე უძღვებოდა. მან სტუდენტებს სამახსოვრო დიპლომები და პრეზიდენტის ფულადი გრანტი გადასცა. მადლიერი სტუდენტები ამაყობენ, რადგან ეს მათთვის დამოუკიდებელი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალის საპატიო ჯილდოა.

**ვახტანგ ნანიტაშვილი.**

სტუ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე.

ალმანახი

საქართველოს რესპუბლიკა

№ 173. ხუთშაბათი, 29 ივნისი, 2000 წელი.

ქველმოქმედება

# მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვინ — შვილნი სოფლისა...

(მეხუთე გვერდიდან)

თუმცა, მათი კეთილი საქმე ბავშვების სულიერი და ხორციელი გადარჩენით არ შემოფარგლულა. ცხოვრება მიდის, ბავშვებიც იზრდებიან. ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ქვეყნის მომავალი კი, მხოლოდ მოწყალების იმედად ვერ იარსებებს. პატრიარქის კურთხევითა და უფროსების ხელშეწყობით მათი დამოუკიდებელი ცხოვრება ძირძველ ქართულ მიწაზე, წალკის რაიონში, სოფელ ბედიანში გაგრძელდა. წალკის რაიონში ისინი ქართულ სულს, ტრადიციებს აღვივებენ. მართალია, მათ, ისევე, როგორც ძეგვის ბავშვთა სახლს, დახმარების გარეშე არსებობა ჯერ უჭირთ, მაგრამ სოფელი ერთბაშად არავის აუშენებია.



დახმარებას, ვისაც გავახსენდებით, ვისაც ბავშვებზე გული შესტკივა, ის გვიგზავნის — ამბობს სახლის ერთ-ერთი მფარველი გიორგი რაზმაძე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქალთა ასოციაცია, პროფესორ-მასწავლებლები გულმოწყალებას მათ მიმართ ყოველთვის იჩენდნენ და რაც შეეძლოთ, ეხმარებოდნენ, მაგრამ... ყველამ კარგად იცის, რომ დღეს ინტელიგენცია უმძიმეს მდგომარეობაშია. ამის მიუხედავად, ტექნიკური უნივერსიტეტი მაინც რაღაცას ახერხებს...

9 ივნისს საქველმოქმედო აქციის როლი მნიშვნელოვანი იმით იყო, რომ საერთაშორისო ენერგეტიკულმა კომპანია „იტერამ“ ბავშვების შეწევნის კეთილი სურვილი გამოთქვა. სწორედ ამ მიზნით „იტერას“ წარმომადგენელი თამაზ პატარიძე, სტუ რექტორთან, პროფ. რამაზ ხუროძესთან ერთად, ბავშვთა სახლს ეწვია.

საიდან გაიგეთ, რომ ახლა ძალიან გვიჭირდა? — ეს იყო პირველი კითხვა, რითაც გამოხატა თავისი აღტაცებაც და გაოცებაც გიორგი რაზმაძემ სტუმრების დანახვაზე.

ბავშვთა სახლის ჭირ-ვარამის გაცნობის შემდეგ თამაზ პატარიძემ მათ აღუთქვა, რომ ასეთ დახმარებას შემდგომშიც აღმოუჩენს და, ყველანაირად მხარში ამოუდგება.

**მაია რატიანი.**

თაობა

# ჭადრაკი — ხელოვნება, მეცნიერება და სპორტი

(მეხუთე გვერდიდან)

**— როდის მოიპოვეთ პირველი სერიოზული გამარჯვება?**

— 1989 წელს. 12 წლამდე ასაკის ბავშვებში საქართველოს ჩემპიონი გავხდი. ამ ტურნირში გამარჯვებას ოთხი თამაშით ადრე მივაღწიე. უკანასკნელი პარტიები რომ წამეგო, უკვე იმდენი ქულა მქონდა დაგროვებული, რომ გამარჯვება მაინც მე დამრჩებოდა. თუმცა დარჩენილი თამაშებიც მოვიგე. 1990 წელს საქართველოს ჩემპიონი გავხდი პროფკავშირებს შორის გამართულ ჩემპიონატზე, სადაც „მართვეს“ სახელით გამოვდიოდი. იმავე წელს სსრკ-ის პირველობაზე გამაგზავნეს და იქ ვიცე-ჩემპიონი გავხდი. 1994 წელს რუმინეთში ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშე; 16 წლამდე მოჭადრაკეებს შორის მესამე ადგილი მოვიპოვე. 1995 წელს 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებს შორის საქართველოს ჩემპიონი გავხდი. 1996 წლიდან სამწელიწადნახევარი საბერძნეთში დავყავი. იქ საბერძნეთის ერთ-ერთ პრესტიჟულ კლუბში, სალონიკის მოჭადრაკეთა გაერთიანებაში ვთამაშობდი. 1989 წელს 18 წლამდე ასაკის მოთამაშეებში საბერძნეთის ჩემპიონატზე პირველი ადგილი მოვიპოვეთ. ამ გუნდში მე საქართველოს სახელით გამოვდიოდი. იქაური წესების თანახმად, თითოეულ გუნდს შეუძლია თავის შემადგენლობაში ერთი უცხოელის აყვანა. ამ ჩემპიონატზე პირველ დაფაზე ვთამაშობდი. როგორც ცნობილია, საერთაშორისო ოსტატი თუ დიდოსტატი რომ გახდე, გარკვეული ნორმები უნდა შეასრულო: უნდა შეხვდე ძლიერ მოწინააღმდეგეებს და 9 შესაძლებლობიდან 6,5-7 ქულა უნდა დააგროვო. ეს წოდებები სწორედ საბერძნეთში მოვიპოვე.

**— რას ნიშნავს თქვენთვის საქართველოს ჩემპიონობა?**

— საქართველოს ჩემპიონობამ მე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე მონაწილეობის უფლება მომცა, რომელიც ივნისში ერევანში ტარდება. აქედან ოთხეულში თუ გავალ, მსოფლიო ჩემპიონატზე გავემგზავრები.

**— როგორ ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი?**

— ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი უძლიერესი ტურნირი იყო, რომელშიც სამი საერთაშორისო ოსტატი და ორი დიდოსტატი მონაწილეობდა. თავიდან ძალიან სუსტად დავიწყე. პირველი ორი პარტიიდან ერთი ყაიმით დავასრულე, ერთი წაგებით. დანარჩენი ცხრა პარტიიდან რვა მოვიგე და ერთი ყაიმით დავამთავრე. ტურნირში მონაწილეობდნენ ზურაბ სტურუა, გიორგი ყაჭეიშვილი — ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი, გიორგი ბაღათუროვი — საქართველოს შამანდელი ჩემპიონი, ბუხუტი გურგენიძე — ჩვენი პირველი დიდოსტატი და დავით ლობჟანიძე. თავიდან ბოლომდე მე და გიორგი ყაჭეიშვილი ვიბრძოდით. ორივემ თერთმეტიდან ცხრა ქულა მოვაგროვეთ, მაგრამ მე იგი პირად შეხვედრაში მყავდა დამარცხებული, ამიტომ ჩემპიონობა მე მომანიჭეს.

**— წინასწარ თუ იცით, ერევანში რომელი ქვეყნების მოჭადრაკეები დაგიპირისპირდებიან?**

— აქ იქნებიან მოჭადრაკეები სომხეთიდან, იუგოსლავიიდან, საბერძნეთიდან, კვიპროსიდან, თურქეთიდან, მალტიდან, ალბანეთიდან და საქართველოდან.

ამას გარდა, როგორც საქართველოს ჩემპიონი, ივლისის დასაწყისში იტალიაში მივემგზავრები ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად.

**— დღეს საქართველოში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის ფონზე თუ გაქვთ ფულადი ანაზღაურება და ვინ უზრუნველყოფს თქვენს მონაწილეობას ტურნირებში ფინანსური თვალსაზრისით?**

— საქართველოს ჩემპიონობაზე 800 ლარი მომცეს, ხოლო რაც შეეხება საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობას, ეს თითქმის ყველა დიდოსტატის პრობლემაა. საქართველო ცოტა მოშორებით არის ევროპიდან და ყოველთვის ძვირი გვიჯდება გამგზავრება. სომხეთსა და იტალიაში ჩემი მგზავრობის ხარჯებს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია იხდის, ხოლო იტალიიდან ესპანეთში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად გამგზავრების ხარჯებს რუსთავის მერია შემპირდა.

**— როგორც თქვენი მონათხრობიდან ჩანს, ბევრგან გიწევს მოგზაურობა. რომელიმე ქვეყანას ხომ არ შემოუთავაზებია თქვენთვის მოქალაქეობის მიღება?**

— დარჩენას საბერძნეთში მთავაზობდნენ. იქ დარჩენა ჩემი შესაძლებლობების მეტად გამოვლენის საშუალებას მომცემდა, მაგრამ ჩემი ქვეყანა მაინც ვერ დავთმე.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ საბერძნეთში სამ წელიწადნახევარი დაჰყავით, ენობრივი ბარიერი როგორ გადალახეთ?**

— საბერძნეთში რომ ჩავედი, ბერძნული საერთოდ არ ვიცოდი. 6 თვეში ისე ვისწავლე, წიგნი არც გადამიშლია. ასე ვთქვათ, იქაურებთან კონტაქტში „შემომესწავლა“. წერა ცოტა გამიჭირდა, ხუთნაირი „ი“ აქვთ და სამნაირი „ე“. თვითონ ბერძნებსაც ეშლებათ და მე რომ შემეშალოს, ალბათ, მეპატიება.

**— საქართველოში როდის დაბრუნდით და ამჟამად რას საქმიანობთ?**

— საქართველოში საბერძნეთიდან 1999 წელს ჩამოვედი, სწავლა ტექნიკურ უნივერსიტეტში საერთაშორისო ეკონომიკის ფაკულტეტზე გავაგრძელე. აქ მისაღები გამოცდები 1996 წელს ჩავაბარე, მაგრამ ტურნირების გამო სწავლის გაგრძელება ვერ მოვახერხე. ასე რომ, ახლა კვლავ პირველ კურსზე ვარ. სიმართლე გითხრათ, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები შეძლებისდაგვარად მეხმარებიან.

**— საქართველო თავისი ტრადიციებიდან გამომდინარე ყოველთვის ქალთა ჭადრაკით გამოირჩეოდა, თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

— ჩემი აზრით, უბრალოდ, ქართველი მოჭადრაკე კაცები ზარმაცები ვართ. მე, მაგალითად, არის დღეები, როდესაც ვმეცადინეობ და არის, ასევე, დღეები როდესაც ჭადრაკს საერთოდ, ხელს არ ვკიდებ. არადა, ჭადრაკს კი სისტემატური შრომა სჭირდება.

**— თქვენი საჭადრაკო ცხოვრებიდან რაიმე კურიოზს თუ გაიხსენებდით?**

— ეს იყო 18 წლამდე მსოფლიო ჩემპიონატზე, ბრაზილიაში. ჩემპიონატი პირველ დეკემბერს იწყებოდა. ფრენა 23 და 30 ნოემბერს იყო. 30 ნოემბერს რომ წავსულიყავით, ტურნირზე ვაგვიანებდით. ამიტომ 23-ში გავფრინდით. ფაქტობრივად, ბრაზილიაში ერთ კვირას უქმად ყოფნამ მოგვიწია. აქ ჭადრაკში მონაწილე გუნდებს შორის სიმბოლური მსოფლიო ჩემპიონატი ტარდებოდა ფეხბურთში. ჩვენ ყველა შეხვედრა მოვიგეთ. უკვე ერთი კვირა იყო, რაც ბრაზილიაში ვიყავით და ბურთის თამაშს ვინ გვასწავლიდა, ან ვინ მოგვიგებდა? ასე გავხდით 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებს შორის მსოფლიო ჩემპიონები ფეხბურთში. რაც შეეხება ჭადრაკს, ხუთ წუთიან ბლიც-ტურნირებში გიორგი ყაჭეიშვილმა პირველი ადგილი მოიპოვა, ხოლო მე ხუთეულში მე-4 ადგილზე გავედი. ასე ვთქვათ, ბრაზილიას და მის ფეხბურთს „გადაყოლილებმა“ უკეთესი შედეგი ვერ ვაჩვენეთ.

**— თქვენი აზრით, რა არის ჭადრაკი?**

— ჭადრაკი მეცნიერებასაც შეიცავს, ხელოვნებასაც და სპორტსაც. მეცნიერების თვალსაზრისით აქ ურთულესი გეგმები, კომბინაციები და გათვლები გვხვდება. რატომაა ჭადრაკი ხელოვნება? იგი ულამაზეს კომბინაციებს, ლამაზი გეგმის განხორციელებისთვის აუცილებელ შეწირვებსაც მოიცავს, ხოლო სპორტი იმიტომაა, რომ ჭადრაკი გამარჯვებულსაც გულისხმობს და დამარცხებულსაც. გამარჯვებას კი საოცარი სპორტული ჟინი სჭირდება.

**ნიკა ბრეგვაძე.**

# სტუდენტური დღეები — 2000

(მეხუთე გვერდიდან)

შესაძლოა ვინმემ იკითხოს, რა მოხდა ასეთი, სტუდენტური კავშირი საქებარ სიტყვას რომ იმსახურებსო. მოხდა ის, რომ სტუდენტობა ერთ მუშტად შეიკრა, ტრადიციები გააგრძელა, გაიხსენა ფოლკლორი და ეროვნული მხატვრული აზროვნების ძირები დღევანდელობას დაუკავშირა.

ჯერ იყო და მინი-ფეხბურთის ტურნირში 400-ზე მეტმა სტუდენტმა იასპარეზა. მასში თხუთმეტი ფაკულტეტის 32 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში ერთმანეთს კავშირგაბმულობისა და ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტების გუნდები შეხვდნენ. დაძაბული მატჩის შემდეგ გამარჯვება ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტს ერგო და თასი, საპატიო პრიზები და ფულადი ჯილდო გადაეცა.

დიდი მოწონება ფაკულტეტების მხატვრული თვითშემოქმედების კონცერტებმა დაიმსახურა, რომლებიც რვა დღის განმავლობაში თეატრ-სტუდია „მოდი ნახეში“ მიმდინარეობდა. 15 ნომინაციაში (თანამედროვე სიმღერა და ცეკვა, ხალხური სიმღერა და ცეკვა, ორიგინალური ნომერი, მინიატურა, სკეტჩი, იუმორისტული ნომერი...) ყოველდღე ორ-ორი ფაკულტეტი ეჯიბრებოდა. პირველი ადგილი აქაც ჰუმანიტარულ-ტექნიკურმა ფაკულტეტმა დაიკავა, მეორე — მექანიკა-მანქანათმშენებლობამ, ხოლო მესამე — სოხუმის ფაკულტეტს ერგო.

„ფურორი ჰუმანიტარულ-ტექნიკურმა ფაკულტეტმა მოახდინა — ამბობს სტუ სტუდკავშირის პრეზიდენტი ჟანი კალანდაძე და დასძენს, — ეს ფაკულტეტი სტუდენტური დღეების ჩატარებაში ასეთი შემართებით რომ არ იყოს ჩაბმული, სტუ კულტურული მაჩვენებელი ამ დონის არ იქნებოდა. ეს კი ჰტფ დეკანის ალექსანდრე ცინცაძის აქტიურობის შედეგია. ახალგაზრდებთან მისმა სიახლოვემ ასახვა, ბუნებრივია, შედეგებშიც ჰპოვა“.

და მაინც, „ფაქტია, რომ სტუდენტური დღეების ტრადიცია ისევ ცოცხალია, ძველ სახელებთან ერთად (გუნდი „შერეკილები“, ქართული ცეკვის ანსამბლი „მერანი“, „კაპელა“ თუ სხვა), გამოჩნდა ახალი სტუდენტობა, რომელმაც ენთუზიაზმით აიტაცა გადაცემული ესტაფეტა“ — შენიშნავს სტუდენტური კავშირის აღმსრულებელი თავმჯდომარე ბიძინა ბრეგაძე.

აღსანიშნავია ჰტფ სტუდენტის გიორგი ფარადაშვილის ინიციატივით გაკეთებული ლაზერ-შოუ, რაც უნივერსიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ახალი სიტყვაა. ფილარმონიაში დასკვნით კონცერტზე წარდგენილ 20 უმაღლეს სასწავლებელს შორის ყველაზე ხანგრძლივი პროგრამით სტუ გამოირჩეოდა. კონცერტი კაპელამ გახსნა, მას ჯგუფი „ტრიო“ და „ლაზერ-შოუ“ შეენაცვლა. 40 წუთი სცენაზე „გეპე“, თამამად ვიტყვი, ქუხდა.

ჰტფ სტუდკავშირის თავმჯდომარე ლევან ჯაფარიძეს „სტუდენტური დღეები 2000“ პროგრამის განხორციელებაში წელილისთვის დიპლომი გადაეცა საუკეთესო ორგანიზატორის ნომინაციაში.

ვინ თქვა საქართველოში ფილმებს აღარ იღებენო? ჰტფ თავი იმითაც გამოიჩინა, რომ ტელერეჟისურის ფაკულტეტის კათედრასთან ერთად სტუ საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრში მინიფილმების კინოჩვენება მოეწყო. განხილვის და შეფასების დროს ამ ფილმებმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

შესანიშნავ სიახლეს სთავაზობს სტუდენტებს სტუდენტური კავშირი, ესაა საერთაშორისო სტუდენტური ბარათი — **International Student identity Carol [ISIC]** (ბარათის მფლობელნი მომსახურების სხვადასხვა ობიექტებში ფასდაკლებით სარგებლობენ — იქნება ეს ტრანსპორტი, დასვენება, სამედიცინო მომსახურება თუ სხვა.

ახლა, საიდუმლოდ გიმხელთ, თუ რაში „მოიკოჭლებს“ სტუ სტუდენტური კავშირი. ზოგი პატარა ღონისძიებას მოაწყობს და ქვეყანამ იცის. ჩვენ კი, რეკლამა არ გვქონდა. ვერ მოვიცალეთ, ისე გადაიარა ჩვენს მხრებზე სტუდენტურმა დღეებმა, საკუთარი თავი აღარ გვახსოვდა. — ამბობს სტუდკავშირის პრეზიდენტი ჟანი კალანდაძე.

რა თქმა უნდა, დღეს რეკლამა მამოძრავებელი ძალაა, მაგრამ, როგორც ილია ამბობდა: „ჭეშმარიტი ღირსება საქმითა თვისითა ჰღაღადებს მხოლოდ და არა ყვირილითა და დაფა-ზურნითა. ჭეშმარიტ ღირსებას ყვირილი არ უნდა. მისი ბუნება და თვისება ის არის, რომ მით უფრო სასახელოა და საგულებელი, რაც უფრო მდუმარეა“.



ასე რომ, სტუდკავშირი თავისმა ნალვაწმა ურეკლამოდაც საკმაოდ სრულად წარმოაჩინა.

**P. S.** მართალია, 26 მაისს „სტუდენტური დღეები 2000“ საზეიმოდ დაიხურა და თითქოს, ამით სტუდენტურ ღონისძიებებსაც წერტილი უნდა დასმოდა, მაგრამ სტუ უამრავი აზრების გეგმების, მიზნების არსებობა, მათი განხორციელება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. 31 მაისიდან 2 ივნისამდე ჰტფ და ვიზუალურ ხელოვნებათა კათედრამ სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა მოაწყო. შიდა კონკურსში გამარჯვებულმა სტუდენტმა 200-ზე მეტი ნამუშევარი (ნატურმორტები, რეპორტაჟები, პორტრეტები, მხატვრული ფოტოგრაფია, მიკრო და მაკრო გადაღებით შესრულებული სურათები...) წარმოადგინა. სპეციალისტების აზრით, სურათები მაღალი ოსტატობით, და ორიგინალური ხედვით არის შესრულებული. წარმოდგენილ ჟანრთა ფართო თემატიკა, ფერთა გამა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. უფრო ეფექტურს ხდიდა და გულგრილს არავის ტოვებდა, ის მეტყველი და შთამბეჭდავი, დამატებითი სიმძაფრისა და აზრის მიმცემი სათაურებიც.

სტუდენტური დღეები თბილისით არ შემოფარგლულა. „სტუდენტური დღეები 2000“-ის პროგრამის ერთ-ერთი დამაგვირგვინებელი ეტაპი 1 ივნისს ქ. ბათუმის ზღვისპირა პარკში გამართული ინტერმედია და მეჯლისი იყო. ინტერმედიაში აჭარის ხუთი უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობდა: ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ინტერმედიით — გერმანია, ბათუმის საზღვაო აკადემია ინტერმედიით — ესპანეთი, უმაღლესი პედაგოგიური კოლეჯი — რუსეთი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — იტალია და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინტერმედიით — საფრანგეთი. ინტერმედიის თემები და ქვეყნები ინსტიტუტებს კენჭისყრით ერგოთ.

ჟიურიმ საუკეთესო ინტერმედიად სცნო და მთავარი პრიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს მიაკუთვნა.

ნათქვამია, მეცნიერება და ხელოვნება ისევე მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორც ფილტვები და გულიო. ასე რომ, თუ ერთი ორგანო დაზიანებულია, მაშინ ვერც მეორე შეძლებს სწორად მოქმედებას.

**ნატა ზუევა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „გეპეელი“



**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, მისი დაარსებიდანვე არამარტო ხელოვნებისა და კულტურის კერა გიზგიზებდა, არამედ სპორტისაც. „გეპეიმ“ საქართველოს სპორტის მრავალი ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონიც გამოუზარდა.**

**„გეპეის“ კურსდამთავრებულია 60-70-იან წლებში ქართველი საზოგადოებისთვის, და არა მარტო, მისთვის, კარგად ცნობილი პიროვნება, მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ზარიბეგ ბერიაშვილი. მან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კარი 1957 წელს შეაღო.**

# გზამ, მოყვარულობიდან მსოფლიო ჩემპიონობამდე, „გეპეიზე“ გაიარა

არჩეული პროფესია მისთვის ცხოვრების გზის განმსაზღვრელი გამოდგა. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შესვლა მისთვის კურიოზული იყო. მართალია, შემდეგში ეს კურიოზული შემთხვევა ბატონ ზარიბეგს სასიკეთოდ შეუტრიალდა, მაგრამ თავიდან კი ასე დაიწყო:

— ეს ჯერ კიდევ ჩემს ბავშვობაში, თანასოფლელ ბიჭებთან შეჯიბრმა განაპირობა. ზემო ავჭალაში დავიბადე. მაშინ იგი თბილისს არ ეკუთვნოდა და სოფლად მოიხსენიებდნენ. ავჭალაში ერთი მიგდებული ეკლესია იყო, სადაც შაბათ-კვირას ახალგაზრდობა იკრიბებოდა და შეჯიბრებებს მართავდა. აბა, რა ბიჭი ვიქნებოდი, რომ ჩემი ძალა „მუშტი-კრივში“ არ მომესინჯა?! ვცდილობდი და ხშირად ვიგებდი კიდეც!

ერთმა მეგობარმა, — ვახტანგ ბერიტაშვილმა თბილისში, დიდუბეში გამართულ ჭიდაობაში მონაწილეობა შემომთავაზა. მეც უკან არ დამიხევია და პირველი გამარჯვებაც პირველივე შეჯიბრში მოვიპოვე. თუმცა, ეს ყველაფერი მოყვარული მოჭიდავეობის ფარგლებს არ გასცილებია. პროფესიონალური მომზადება მოგვიანებით, „გეპეიში“ ჩაბარების შემდეგ, დაიწყო.

**— თქვენი სპორტით გატაცება იმდენად დიდი ყოფილა, რომ გასაკვირია, რატომ არჩიეთ ფიზკულტურის ინსტიტუტს პოლიტექნიკური ინსტიტუტი?**

— გარდა სპორტისა, ტექნიკური საგნებითაც დაინტერესებული ვიყავი. თუმცა, ჩემი „გეპეიში“ ჩაბარება, მართლაც, კურიოზული იყო:

მისაღები გამოცდების დაწყებამდე ბათუმში ჭაბუკებს შორის საქართველოს ჩემპიონატი ტარდებოდა. საბუთების ჩაბარებას ვერ ვასწრებდი. ამიტომ სპეციალობის შერჩევაც და საბუთებიც ჩემს მეგობარს მივანდე, რომელიც ასევე „გეპეიში“ აბარებდა მისაღებ გამოცდებს. ჩემპიონატზე მეორე ადგილი დავიკავე და თბილისში გამოცდის დღეს დავბრუნდი. მოხდა ისე, რომ მე ინსტიტუტში გამოცდები წარმატებით ჩავაბარე, ხოლო ჩემი მეგობარი გარეთ დარჩა. პროფესია მან შემირჩია, ხოლო მისი შერჩეული პროფესია ცხოვრების მთავარ საქმიანობად გადამექცა.

**— როგორ უთავსებდით სპორტულ და სტუდენტურ ცხოვრებას?**

— ჩემი ახალგაზრდობის პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ სპორტს და კულტურას „გეპეიში“ დიდი ყურადღება ეთმობოდა, უპირველესი მაინც სპეციალობის დაუფლება იყო. „ჰობისთვის“ დრო რომ დაგვრჩენოდა, ვცდილობდით სწავლას დროზე მოერჩენილიყავით.

**— თქვენი, როგორც მოჭიდავის, კარიერა როდის დაიწყო?**

— როგორც სპორტსმენმა, მომზადება „გეპეიში“ დავიწყე. პირველ კურსზე ფიზკულტურის გაკვეთილზე სტუდენტები სურვილისამებრ სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაგვანაწილეს. ჩემდა ბედად, მაშინ თავისუფალ ჭიდაობაში ცნობილ სპორტსმენთან და მწვრთნელთან გიორგი როსტიაშვილთან მიმამაგრეს. სისტემატურმა ვარჯიშმა კი, თავისი გააკეთა და მალევე გავხდი საქართველოს, საბჭოთა კავშირის და ევროპის ჩემპიონი. მსოფლიოს ჩემპიონობა ცოტა მოგვიანებით მოვიპოვე, თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე ადგილი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დავიკავე.

**— მას შემდეგ, რაც ევროპასა და მსოფლიოში უძლიერესის სახელი მოიხვეჭეთ, როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ თქვენთან თანაკურსელები, ან პედაგოგები?**

— გამარჯვებებმა აღიარება და მეგობრები მომიმრავლა. მაშინ ჩხუბები იშვიათად იმართებოდა. ამიტომ ჩემი სიძლიერე მხოლოდ „გეპეის“ ჩემპიონატზე თუ მადგებოდა. პოლიტექნიკურ ინსტიტუტს სხვა მრავალი ჩემპიონიც ჰყავდა. ამიტომ ხშირად ისე მომხდარა, რომ მსოფლიო ჩემპიონი „გეპეის“ ჩემპიონი ვერ გამხდარა. ან კი როგორ გახდებოდა, როცა, ტატამზე ორი ჩემპიონი ერკინებოდა?!

**— ცხოვრებისეული „გაუგებრობების“ დროს თუ დაგჭირვებიათ ძალის გამოყენება?**

— საჭიროების შემთხვევაში უკან არასდროს დამიხევია. მახსოვს, ერთხელ მე, ანზორ სირაძე და ცხონებული თემურ ლოლაძე (მაშინ ჯერ სტუ რექტორი არ იყო) ქართლში მივდიოდით მანქანით. გზაზე ვიღაცეებმა გადაგვასწრეს და მუშტებიც შეურაცხმყოფელად დაგვიქნიეს. შეურაცხყოფა ეგრე არ უნდაო, წამოვეწიეთ და სამაგიეროს გადახდა გადავწყვიტეთ. მანქანიდან გადმოსვლა ვერ მოვასწარით, რომ ვხედავთ, თემურ ლოლაძე დაწინაურდა, ორი მოჭიდავე უკან მოგვიტოვა და იერიშზე გადავიდა. ბედად ყველაფერი მალევე „მშვიდობით“ დასრულდა.

**— ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თუ შეინარჩუნეთ „გეპეისთან“ კავშირი?**

— „გეპეი“ ისეთი ინსტიტუტია, აქ თუ ერთხელ ფეხი შემოდგი, კავშირს მასთან ველარასდროს გაწყვეტ. გარდა ამისა, ცხოვრებაში ბევრ პიროვნებას, ბევრ სხვადასხვა დარგის წარმომადგენელს შეხვედრი კაცი, მაგრამ იშვიათად, რომ „გეპეი-დამთავრებული“ ვერ გავარჩიო. მათ განსაკუთრებული თვისებებით ვიცნობ.

დღეს ბატონი ზარიბეგი საავტომობილო ტრანსპორტის ქარხანაში მუშაობს. ჭიდაობას დიდი ხნის წინათ ჩამოშორდა. თუმცა, ინტერვიუს დროს მას თვალები ისევ ახალგაზრდულად უბრწყინავდა და შევატყე სათქმელი გაცილებით მეტი ჰქონდა. უთქმელობა კი მისი პიროვნების სიდიადეზე მეტყველებდა.

**ნინო გიორგაძე.**

## საიუბილეოდ

# „მამა ქართულად ჩეხური აქცენტით საუბრობდა, მე კი ჩეხურად ქართული აქცენტით“



**ინსტიტუტში პედაგოგობის 45 წელი, კათედრის გამგის თანამდებობაზე მუშაობის 25 წელი და, მთლიანად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოღვაწეობის 50 წელი, დამეთანხმებით, ძალიან ბევრი საიუბილეო თარიღის დამთხვევაა. საგულისხმოა, რომ ამ თარიღების დაგვირგვინებად ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ანალიზური ქიმიის კათედრის გამგე, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო-ჩეხეთის ურთიერთობის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოში ჩეხთა სათვისტომოს ერთ-ერთი დამაარსებელი და საპატიო პრეზიდენტი ფრანც ბროუჩეკი სტუდენტი — ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიურ-მეცნიერული მუშაობისთვის საქართველოს პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა.**

**— ბატონო ფრანც, რა შეიცვალა თქვენში „ღირსების ორდენით“ დაჯილდოების შემდეგ?**

— „ღირსების ორდენს“ ამდენი თუ შეეძლებოდა, არ მეგონა. ვგრძნობ, როგორ მომიმატა ენერგია, ასაკი კი, დამიკლო. თავს ისევ ახალგაზრდად ვგრძნობ, ამ ორდენმა მორალურად გამაძლიერა.

**— თქვენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე კათედრაზე დარჩით. ამ ხნის განმავლობაში თქვენს ხელში მრავალმა თაობამ გაიარა. რას იტყოდით დღევანდელ ახალგაზრდობაზე?**

— დღეს ახალგაზრდებს ვსაყვედურობთ, თითქოს სწავლა წინა თაობებისგან განსხვავებით ნაკლებად აინტერესებდეთ, მაგრამ ეს ასე არ არის. ნაწილი ახალგაზრდების სწავლისადმი უინტერესობა მათი ბრალი არ არის, ეს ცხოვრებამ მოიტანა. ვინც სწავლობს, იმდენად კარგ სპეციალისტებად ყალიბდებიან, ისეთი ნიჭიერები არიან, რომ დღეს საქართველოს განათლებულთა დიდი პოტენციალი ჰყავს, რომლის უგულებელყოფა, უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. ჩვენ უნდა ვეცადოთ, მათ ყველანაირი პირობა შევუქმნათ, რათა თავიანთი შესაძლებლობები საქართველოს მოახმარონ.

ფრანც ბროუჩეკი სამეცნიერო კადრების მომზადებას დიდ ყურადღებას აქცევს, მისი ხელმძღვანელობით დაცულია 15 საკანდიდატო და 1 სადოქტორო დისერტაცია, ამჟამად დასაცავად მომზადებულია 1 სადოქტორო და მზადდება 3 საკანდიდატო დისერტაცია.

**— როგორ აღმოჩნდით საქართველოში?**

— საქართველოში მამაჩემი ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე ჩამოვიდა. აქ დაფუძნდა, დაოჯახდა და გარდაიცვალა. ქართულიც და ჩეხურიც მამამ შემასწავლა, ჩვენს შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მამა ქართულად ჩეხური აქცენტით საუბრობდა, მე კი, ჩეხურად ქართული აქცენტით.

**— ჩეხეთში თუ ყოფილხართ ოდესმე?**

— სამწუხაროდ, არა, ადრე ჩეხეთში გამგზავრება შედარებით რთული იყო. საქართველოში ჩეხეთის საელჩოს არყოფნის გამო, ვიზა მოსკოვის საელჩოში ფორმდებოდა. ხელოვნურად გაგრძელებული გზა და გართულებული ოპერაციები ბევრ უხერხულობას ქმნიდა. ჩეხური დიასპორა სიხარულით შეხვდა საქართველოში ჩეხეთის საელჩოს გახსნას, უფრო სწორედ, აღდგენას. ჯერ კიდევ 1918 წლიდან საქართველოში იყო საკონსულო, რომელიც ორი ხალხის მეგობრობას, თანამშრომლობას და ვაჭრობის განვითარებას უწყობდა ხელს. ამ საკონსულოში თანამშრომლობდა მამაჩემი — იოზეფ ბროუჩეკი. დღეს საელჩოს გახსნით ორ ხალხს შორის აქამდე არსებული მეგობრული ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდება, მათ შორის, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ქალაქ პრაღისა და ბრნოს სათანადო ინსტიტუტების მეგობრობაც.

ფრანც ბროუჩეკმა საქართველოში განავითარა ლითონთა ანალიზური ქრომატოგრაფიის ახალი სამეცნიერო მიმართულება — „კომპლექსწარმომქმნელი-სორბციული ქრომატოგრაფია“, შეიმუშავა მისი ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლები. მან ამავე მიმართულებით შექმნა მეცნიერული სკოლა, სადაც გაზარდა და ზრდის უმაღლესი კვალიფიკაციის ქიმიკოს-ანალიტიკოსებს.

ვულოცავთ ბატონ ფრანცს ღირსების ორდენით დაჯილდოებას და ვუსურვებთ შემდგომ მეცნიერულ წარმატებებს.

**გიორგი კიკნაძე.**

## სიახლე

# ქონება ვის გადაუყრია

ჩვენი დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა ხანდახან ერთი „უცნაური“ ვაჭრის ყოფას მაგონებს.

ერთხელ ვაჭარს თვალმარგალიტით დატვირთული აქლემი ხრამში ჩაუვარდა. დაჯდა ვაჭარი და ტირილი მორთო, — მთელი ჩემი ავლა-დიდება ამ აქლემს ავკიდე, ახლა რაღა მეშველება, აღარც აქლემი მყავს და აღარც სიმდიდრე შემრჩაო, გზად მიმავალმა გლეხმა უსმინა მტირალს და დახმარება შესთავაზა, გზაზე დაფანტული მარგალიტების აკრეფაში მოგეხმარებითო.

ვაჭარს მიწაზე დაფანტული ეცოტავა და დაღუპულ აქლემსა და მდინარეს გაყოლილ სიმდიდრეზე კიდევ უფრო მეტად მორთო ღრიალი,

— მე იმდენი დავკარგე, თითო-ოროლა მარგალიტს ხომ არ გამოვეკიდებიო.

დაახლოებით ამგვარი ვითარებაა დღეს ჩვენში მოპოვებული მადნის გადამუშავებისა და მის ნარჩენებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით.

ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ ქიმიური ელემენტების მოპოვების ტექნოლოგია უკვე საბჭოურ ეპოქაში იყო მოძველებული და აქედან გამომდინარე, არაეფექტიანიც. მადნის გადამუშავების დროს ბევრ სასარგებლოს წყალს რომ ვატანდით (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით!), იმდენად აშკარად იყო, რომ ხალხში არაერთი ანეგდოტის საფუძველიც კი შეიქმნა (მაგალითად, მდინარე ყვირილას წყალში გახსნილი მადნით გაშავების გამო!)

ახლა თითქოს ვითარება შეიცვალა. უდიერი მოპყრობა ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრეებისადმი წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ახალი სატკივარი გაგვიჩნდა: სათანადო ტექნოლოგიები მოგვიძველდა. ეს ბუნებრივიაა, რადგან კაცობრიობის მოთხოვნილება ისე მატულობს და მეცნიერების განვითარება ისეთ დონეს აღწევს, რომ ქიმიური ელემენტების მოპოვების არსებული ტექნოლოგია არაეფექტიანი ხდება. არაეფექტურობაში ამ შემთხვევაში მადნიდან ნივთიერებათა არასრულფასოვან მიღებას ვგულისხმობთ. აქ საკითხის ორი მხარე იჩენს თავს — ერთი ისაა, რომ აუცილებელია მადნის გამდიდრების ხარისხის ამაღლება, ხოლო მეორე — გარემოში დაგროვილი ნარჩენები. უფრო ზუსტად ის, რომ „გადაყრილ“ ღარიბ მადნებში ნარჩენებს სხვადასხვა ქიმიური ელემენტი რჩება. ზოგი მათგანი ტოქსიკურია. ისინი ბუნების ზემოქმედებისას ნიადაგში იხსნება და საკვებისა თუ წყლის სახით ისევ ჩვენ გვიბრუნდება.

ამიტომაც არის, რომ დღეს მეცნიერების წინაშე ასეთი ამოცანაა დასმული: — მადნის გამდიდრების ისეთი დახვეწილი მეთოდი შეიმუშაოს, რომ ნარჩენი ასეთი საშიში აღარ იყოს. დღეს არსებული ქიმიური მეთოდი კი, სამწუხაროდ არც შესრულების თვალსაზრისით არის სრულყოფილი და არც ფინანსური ასპექტით ეფექტიანი. ამის გამო მეცნიერებმა ეკონომიკურად გამართლებულად უფრო ნარჩენების „გადაყრა“ მიიჩნიეს.

ნათქვამია, ბუნება დიდი წიგნია. მისი ყოველი ფურცელი დიდ შინაარსს გვთავაზობს. მთავარი მისი წაკითხვის ნიჭი და სწორად გაგების უნარიაო. ქიმიური ელემენტების ბაქტერიალური გამოტუტვა ბუნებაში მიმდინარე თავისთავადი პროცესია. მას მეცნიერები პრაქტიკაშიც წარმატებით იყენებენ. თუმცა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მყარი სხეულის ფიზიკის საპრობლემო ლაბორატორიის თანამშრომელმა ლია ცერცვაძემ ახალი და დღემდე არარსებულზე ბევრად კარგი მეთოდი შეიმუშავა.



მადნიდან ელემენტთა კომპლექსური გამოტუტვა, მართალია, ბუნებრივი პროცესია, მაგრამ იგი შენელებულია... ე. ი. დროში გაჭიმული. ამ პროცესის წარმართვისათვის დროსთან ერთად სხვა მრავალი პირობის დამთხვევა და ხელის შეწყობაც არის საჭირო. თუ მეცნიერი ბუნების კატალიზატორის როლს შეასრულებს, შედეგი გაცილებით ადრე მიიღწევა და შესაბამისად ბევრად ეფექტურიცაა. მადნიდან სასურველი ელემენტის მიღების, ერთი შეხედვით, მარტივი პროცესი სხვადასხვა დარგის მეცნიერთა ერთობლივ ძალისხმევას საჭიროებს. მაგალითად, მიკრობიოლოგები შთანთქმული ბაქტერიების შერჩევას ახდენენ, მიღებული ბაქტერიებიანი წყალხსნარიდან ქიმიურ ელემენტებს კი, ქიმიკოსები იღებენ.

ქიმიური ელემენტების ბაქტერიებით მიღება XVII საუკუნიდან დაიწყო. ეს იყო ესპანეთში. იქ რიოწინტოს საბადოებზე ამ ხერხით სპილენძს იღებდნენ. მაგრამ, დღესაც, როგორც სამი საუკუნის წინათ, მადნიდან მხოლოდ ერთი ელემენტის გამოლება წარმოებს, მაშინ, როცა მადანში, პროცენტულად ჭარბ ქიმიურ ელემენტთან ერთად, სხვა მცირე რაოდენობის, მაგრამ არც თუ უმნიშვნელო ქიმიური ელემენტიცაა. დღეს მსოფლიო ბუნებრივი წიაღისეულით ისეთი მდიდარი აღარ არის, რომ ღარიბი მადნებისა და წარმოების ნარჩენები, უბრალოდ გადავყაროთ.

მყარი სხეულის ფიზიკის საპრობლემო ლაბორატორიაში მიღებული ტექნოლოგია რამდენიმე ელემენტის კომპლექსურად გამოლების საშუალებას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში წარმოების ნარჩენებსა და მადნებში ზოგიერთი ქიმიური ელემენტი თითქმის აღარ რჩება, მაგრამ გარკვეული რაოდენობით მაინც არის. როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი მათგანი ტოქსიკური და რადიაქტიულია. მათი ღია ცის ქვეშ განთავსება საშიშროებას ქმნის. ამ ელემენტთა გამოყოფას და დაგროვებას ეკოლოგიურთან ერთად ეკონომიკური ეფექტიც ექნება, რადგან, მაგალითად, 1 კგ რადიუმის ფასი, 1992 წლის მონაცემებით, 300 000 დოლარია.

არ შეიძლება ადამიანები მტრად მოეკიდონ ბუნების ძალებს. ნათქვამია, ჩვენ ბუნებაში ვართ, იგი ჩვენშია. საით, როგორ შევეძლია იგი თავიდან აეიშოროთ, იმას გავექცნეთ, დავემალნეთ?! ცოცხალიც მისნი ვართ და მკვდარნიცო. ბუნება სიმდიდრეს გვთავაზობს. ამ სიმდიდრეს გონიერი მოხმარება სჭირდება. შეიძლება ის ნარჩენები, რომელზედაც ვსაუბრობთ, ზოგად ფონზე ისე მცირედ გვეჩვენებოდეს, როგორც ჩვენს მიერ ნახსენები ვაჭრის დიდი ქონების ნამცეცი მარგალიტები, მაგრამ ჯერ ერთი, მარგალიტი, ეულიც მარგალიტია, მას თავისი ფასი აქვს და მეორეც, განა ეული მარგალიტებისაგან არ შედგება დიდი ქონებაც?

**ნინო ჩიქობავა.**

